სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 ოქტომბერი, 2025 წელი

წარმომადგენლობითი საბჭოს

გადაწყვეტილება N 07-01/29

შავი ზღვის საქართველოს საზღვრებში არსებულ წყალმცენარეებზე და წყლის ხარისხზე მეცნიერული დაკვირვებების ისტორიული (მინიმუმ ბოლო 20 წელი) მონაცემების შეფასების სამუშაოების (საექსპერტო მომსახურების) განხორციელების უზრუნველსაყოფად საფასურის განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-10 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის წერილის (შიდა N989842, 15.08.2025წ.), ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (N1157778, 16.09.2025წ.), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის სხდომის N07-02/08 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პერსონალის მიერ გაწეული საექსპერტო მომსახურების, კერძოდ, შავი ზღვის საქართველოს საზღვრებში არსებულ წყალმცენარეებზე და წყლის ხარისხზე მეცნიერული დაკვირვებების ისტორიული (მინიმუმ ბოლო 20 წელი) მონაცემების შეფასების სამუშაოების <u>საფასური განისაზღვროს 10805.00 (ათი ათას რვაას ხუთი) ლარის ოდენობით.</u>
2. აღნიშნული საფასურიდან, სამუშაო პროცესში ჩართული ბსუ-ს პერსონალის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს მომსახურების საფასურის (შემოსავლის) არაუმეტეს 80%-ს ოდენობით, ხოლო შემოსავლის არანაკლებ 20% მიმართული იქნეს ბსუ-ს ერთიან შემოსავლებში.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის აპარატს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს და ამავე ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის პროფესორ მაია ვანიძეს და ალეკო კალანდიას, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**